ნინო ბოკელავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფშავ-ხევსურთა ადათ-წესებისა და ტრადიციების ბიბლიური საფუძვლები

ცნობილია, რომ ნებისმიერი ერის კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სარწმუნოება. ხშირ შემთხვევაში სწორედ სარწმუნოებრივი დოგმატები ქმნიან სხვადასხვა სახის ყოფითი ჩვეულებისა თუ ტრადიციის საფუძველს. თუმცა, გასათვალისწინებელია ერის მენტალობაც და საზოგადოებრივი დამოკიდებულება სარწმუნოებრივი დოგმების აღქმისადმი. როდესაც საზოგადოებაში მრწამსი შესისხლხორცებულია ჯანსაღ განსჯასთან, მაშინ ტრადიცია გათვითცნობიერებულია თავისი არსით და არ ეყრდნობა მხოლოდ წინაპართა ქცევით მემკვიდრეობას. მაგრამ თუ საზოგადოება მხოლოდ წინაპართა საკულტო რიტუალების ზედმიწევნით ზუსტ შესრულებაზეა ორიენტირებული და არ განსჯის მის შინაარსს, მაშინ ამ გზას, დროთა განმავლობაში, ის უთუოდ მიჰყავს სხვადასხვა დოგმატის მისეულ ინტერპრეტაციამდე, რაც საბოლოო ჯამში, იწვევს ტრადიციის დაშორებას მის საწყის, ნამდვილ საფუძვლებთან.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში, ჩვენთვის საინტერესოა ქართველ მთიელთა ყოფითი ჩვეულებებისა და ტრადიციების ბაზისური კვლევა, კერძოდ, მათი სარწმუნოებრივი საფუძვლები.

საყურადღებოა ის, რომ ვაჟა–ფშაველა ხევსურთა და ფშაველთა მრავალი ტრადიციის ფუნდამენტს ძველაღთქმისეულ წესებში, კერძოდ მოსეს რჯულში ხედავს. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ რამდენად ახლოს დგას ფშავ–ხევსურთა წეს–ჩვეულებანი ებრაული რჯულის წესებთან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ოჯახის შექმნის ტრადიცია. როგორც ვიცით, ოჯახის შექმნისას ხევსურებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სისხლის სიწმინდის დაცვა. ამ მიზნით თითოეული გვარი სარძლოდ თუ სასიძოდ ჯიშიანი გვარის წარმომადგენელს ეძებდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ხშირად აკვანში ნიშნავდნენ ბავშვებს. შეუღლების საკითხი ყოველთვის მშობლების სურვილის მიხედვით წყდებოდა. აკვანში

დანიშვნის შემდეგ ქალის მშობლებს არ ჰქონდათ უფლება ნიშნის დარღვევისა და ქალის სხვაზე გათხოვებისა. ამის გამო ვაჟის ოჯახი შეიძლება სამტროდ გადაკიდებოდა მათ.

ოჯახის სიწმინდის საკითხში ასეთივე სიმკაცრეს იჩენს „ძველი აღთქმის“ რჯული (თუმცა უნდა ითქვას, რომ „ძველი აღთქმის მიხედვით, უცხო ტომელზე ქორწინება იკრძალებოდა მხოლოდ იმ მოტივით, რომ თაობიდან თაობაში ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემა შენარჩუნებულიყო“) (გაბური, 2008, 35).

ა) „გაფიცებ უფალს, ღმერთს ცისას და ღმერთს მიწისას, არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანაანელთაგან, რომელთა შორისაც მე ვცხოვრობ, არამედ წახვიდე ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში და მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს, ისაკს“ (დაბადება 24: 3,4);

ბ) „არ დაუმოყვრდე, არ გაათხოვო შენი ქალიშვილი მის ვაჟზე და არ მოუყვანო შენს ვაჟს მისი ქალიშვილი ცოლად, რადგან ჩემი გზიდან ააცდენენ შენს ვაჟს, დაიწყებენ უცხო ღმერთების თაყვანისცემას, უფლის რისხვა დაგვატყდება თავს და დაუყოვნებლივ განადგურდებით“ (მეორე რჯული 7:2,3).

უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში არსებობდა ორცოლიანობის ტრადიცია. კაცს მეორე ცოლი იმ შემთხვევაში მოჰყავდა, თუკი პირველი უშვილო აღმოჩნდებოდა. ასეთ დროს ქალი თავად სთხოვდა მას მეორე ცოლის შერთვას, კაცსაც გვარის გაგრძელების მიზნით მოჰყავდა მეორე ქალი და ორივე ცოლთან ერთად ცხოვრობდა ერთ ჭერქვეშ.

ანალოგიური ფაქტი შეინიშნება „ძველ აღთქმაში“:

„იყო კაცი ერთი რამათაიმ - ცოფიმიდან.. სახელად ელკანა. ორი ცოლი ესვა: ერთს ერქვა ხანა, მეორეს - ფენინა. ფენინას შვილები ჰყავდა, ხანა კი უშვილო იყო“ (პირველი მეფეთა 1:1,2).

ოჯახის ტრადიციასთან დაკავშირებით ვაჟა–ფშაველა წერს: „ფშაველი,თანახმად ძველის ჩვეულებისა და მოსეს რჯულისა,გააგდებს ცოლს,თუ არ გამოადგა და „განსატევებელს“ აძლევს ხუთს ძროხას“ (ვაჟა–ფშაველა, 1961, 10).

მართლაც, მსგავსი ჩვეულება შეინიშნება მოსეს რჯულში:

„თუ კაცი ცოლს მოიყვანს და მისი ქმარი გახდება,მერე აითვალწუნებს,რადგან რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში, უნდა დაუწეროს გაყრის წერილი,მისცეს ხელში და გაუშვას თავისი სახლიდან“ (მეორე რჯული 24: 1).

მთიელთა რწმენით დედათა წესისა და მშობიარობის დროს ქალი უწმინდურია და იგი გაჰყავთ სახლის გარეთ–სპეციალურად აშენებულ ქოხში,სადაც ქალი იქამდე რჩება,სანამ არ განიწმინდება. ამ ჩვეულებას მკაცრად იცავენ,რადგან მათი რწმენით ამ ტრადიციის დარღვევა ხატს განარისხებს და მათ ოჯახს ამოწყვეტს.

ქალის უწმინდურობის შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ:

ა) „თუ დედაკაცი დაორსულდება და ვაჟს გააჩენს, შობის შემდეგ შვიდ დღეს უწმინდურია იგი, როგორც წიდოვანების დროს ისე უწმიდურდება ოცდაცამეტი დღის მანძილზე უნდა დარჩეს ქალი განწმენდის სისხლში... თუ გოგო შვა, ორ კვირას იქნება გაუწმიდურებული, როგორც წიდოვანების დროს, სამოცდაექვსი დღის მანძილზე უნდა დარჩეს გაწმედის სისხლში“ (ლევიანნი 12;2,4,5);

როგორც ვხედავთ, ქალის უწმინდურობასთან დაკავშირებული ფშავ-ხევსურთა ჩვეულება ზუსტად ემთხვევა ძველ აღთქმისეულ რჯულს.

საინტერესოა ბავშვების ხატისგან გამოსყიდვის ტრადიცია. ამის თაობაზე ვაჟა თავის წერილში აღნიშნავს: „ფშაველი მოვალეა გამოისყიდოს შვილები თამარ დედოფლის ხატისაგან, ანუ, როგორც თვითონ იტყვიან, „გაიყვანოს“. ვაჟი გამოისყიდება კურატით, ქალი – ცხვრით, საკლავით. ეს ჩვეულებაც ებრაულია: ყველამ იცის, რომ თვითონ იესო ქრისტეს გამოსასყიდად მიიყვანა ღვთისმშობელმა მარიამმა ორი გვრიტი. ხევისბერი გამოსთხოვს მოწყალებას ხატს ბავშვისთვის, დალოცავს და დაჰკლავს საკლავს. ხევისბერი არის ერთსა და იმავე დროს მემკვიდრე მოგვისა და მღვდლისა“ (ვაჟა–ფშაველა, 1961, 25).

ლუკას სახარებაში ვკითხულობთ:

„ხოლო როცა განსრულდა მათი განწმენდის დღეები მოსეს რჯულის მიხედვით,აიყვანეს იგი იერუსალიმს უფლის წინაშე წარსადგენად...და შესწირონ მსხვერპლი,ორი გვრიტი ან ორი მართვე მტრედისა!“ – როგორც უფლის რჯულშია ნათქვამი.“ (ლუკა 2: 22,24)

ძველ აღთქმაში კი წერია:

„როცა გავა ვადა განწმედისა ვაჟისათვის თუ გოგოსათვის, მიუყვანოს მღვდელს სადღესასწაულო კარავთან ერთწლიანი ბატკანი აღსავლენად და მტრედის ხუნდი ან გვრიტი ცოდვის გამოსასყიდად. მღვდელი შესწირავს ამას უფლის წინაშე, გამოითხოვს მისთვის შენდობას და განიწმიდება ქალი წიდოვანებისაგან. ეს არის ვაჟისა თუ გოგოს შობის წესი. თუ ბატკანზე არ მიუწვდება ხელი, მიიყვანოს ორი გვრიტი ან ორი ხუნდი, ერთი აღსავლენად,მეორე ცოდვის გამოსასყიდად;მღვდელი შენდობას გამოითხოვს მისთვის და გაწმიდავდება ქალი“ (ლევიანნი 12: 6,7,8).

ხევსურეთში მკაცრად არის დაცული სტუმარმასპინძლობის ადათი. სტუმარი ხელშეუხებელია, მის შეურაცხყოფას ვერავინ გაბედავს, ამისთვის მასპინძელი თავად აგებინებს პასუხს, თუნდაც შეურაცხმყოფელი მისი ძმა იყოს. საპატიო სტუმარს ხევსური ხშირად ცალ მუხლზე დაჩოქილი ემსახურებოდა.

აღსანიშნავია, რომ მკვლელობის ან სხვა სოციალური პრობლემის დროს ჩვეულებად იყო ამა თუ იმ თემსა და ოჯახში მდგმურის ე.წ. „ამანათის“ მიღება. მდგმურს ხევსურები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და გარკვეული დროის განმავლობაში პატრო-

ნობდნენ მას. „ხევსურს რომ თავის სოფელში ცხოვრება აღარ შეეძლო მოსისხლეობის ან სხვა რაიმე ამგვარი მიზეზის გამო, რომელიმე სოფელს შეარჩევდა და იქ წავიდოდა „ამანათად“, პირველად სოფელში თვალსაჩინო კაცთან მივიდოდა და მას სთხოვდა დახმარებას, რათა სოფლელებს ნება დაერთოთ მათთან დროებითი ცხოვრებისა. როცა დათანხმდებოდნენ, ამანათი და მასპინძელი ჯვარში ერთ საკლავს მიიყვანდნენ და ყველას დაუძახებდნენ. ხუცესი საკლავს ამანათისა და სოფლის სამწყალობნოდ დაჰკლავდა. ამის შემდეგ სოფელი ითვლებოდა ამ კაცის მფარველად, იცავდნენ მტრისაგან, ეხმარებოდნენ ყოველგვარ გაჭირვებაში“ (ოჩიაური, 1980, 248).

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია დაცული იყო ძველ აღთქმაშიც:

ა) „გავიდა მათთან სახლის პატრონი და უთხრა: არა, ძმებო, ნუ უზამთ ბოროტებას. ეს კაცი ჩემს სახლში სტუმრად შემოვიდა, ნუ ჩაიდენთ ამ უზნებას“ (მსაჯულნი 19: 23);

ბ) „ცოდვილებზე კი სასჯელმა მოიწია, რომელთა ნიშნები წინასწარ გამოჩნდა მეხისტეხაში, სამართლიანად იტანჯებოდნენ ჩადენილი ბოროტებისათვის, რადგან სასტიკ სტუმართმოძულეობას იჩენდნენ. სხვანი თუ სტუმრად არ იღებდნენ მათთან მოსულ უცხოელებს,ესენი კეთილისმყოფელ სტუმრებს იმონებდნენ.არა მხოლოდ ამათ, არამედ იმათაც დაედებათ მსჯავრი, რადგან მტრულად იღებდნენ სტუმარს“ (სიბრძნე სოლომონისა, 19: 13,14,15);

ასევე ძველ ებრაელთა რჯულში ხევსურების მსგავს დამოკიდებულებას ვხედავთ „ამანათად“ შესახლებული პირისადმი:

გ) „თუ დაგიდგება მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავიწროვებ მას. როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენს შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი“ (ლევიანნი 19: 34);

დ) „იგი უჩენს სამართალს ქვრივსა და ობოლს, უყვარს მდგმური და აძლევს მას პურს და შესამოსელს. გიყვარდეთ მდგმური, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში“ (მეორე რჯული 10: 18,19).

ვაჟა-ფშაველა წერილში „ხევსურული ქორწილი“ აღნიშნავს „ხელი-მხარის განათვლის“ ტრადიციას, რომლის თანახმად, პატარძლის მამას „ხელ-მხარი გაენათლების“, ხევისბერი ჯვრის სახით სისხლს უსვამდა გულზე,შუბლსა და მხრებზე. ამით ნეფე - დედოფალს შეავედრებდნენ ხოლმე ღმერთსა და ხატებს, „დაამწყალობებდნენ“ მათ და საკლავს კლავდნენ. გარდა ქორწილისა, „სანათლავს“ კლავდნენ სხვა მიზეზების გამოც. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მებოსლე ქალისაგან ოჯახი წაიბილწებოდა, მიცვალებულისაგან გაუწმინდურდებოდა, ასევე ხევისბრად კურთხევის დროს.ახლადმოწოდებულს სანათლავად სჭირდებოდა რვა საკლავი და ერთი კურატი.მათი სისხლით ნათლავდნენ ხევისბრები თავიანთ მოძმეს,სისხლს უსვამდნენ შუბლზე,მკლავსა და გულზე.

„უეჭველად ხატის სასიამოვნოდ უნდა საქონლის სისხლი დაიქცეს. აქედან აშკარაა, რომ სისხლს ძალა აქვს (კულტი სისხლისა). სისხლი ვითა აიაზმა, უნდა ესხუროს თასებს, სახატო ავეჯეულობას, ხევისბერმა უნდა ხელმხარი „გაინათლოს“ სისხლითვე, მუდამ წელიწადს ჯერ თვითონ უნდა დაკლას საკუთარი საკლავი ხატში და იმისი სისხლი მოიცხოს ხელებზე, შუბლზე. ამ ჩვეულებას ეწოდება „ხელ-მხარის განათვლა“ (მაკალათია, 1984, 256).

„გარდა ამისა, ხევსურებმა იციან სახლის სანათლავი საკლავის დაკვლა. როცა ხევსური ახალ სახლს აიშენებს და იქ ჯალაფს პირველად შეიყვანს, აუცილებლად გადაიხდის სახლის ანგელოზის საღმრთოს. იგი ადუღებს ლუდს, დაჰკლავს „სახლის სანათლავ“ საკლავს და სახლს სისხლით განათლავს“ (გაბური, 2008, 43).

ვაჟა-ფშაველა წერს: „ჩვეულება სისხლით გაწმენდისა ძველ ებრაულ ჩვეულებას მოგვაგონებს, როგორც ვუწყით, ღმერთმა, როგორც ძველი აღთქმა გვასწავებს, ეგვიპტიდან ისრაილების გამოსვლის წინად ასწავლა, რომ ყველას თითო უზადო საკლავი გამოერჩია ფარიდან, დაეკლა და იმისი სისხლი წაეცხო ზღურბლზე და კარების ჩარჩოებზე. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იქ ცხოვრობდა ისრაილთაგანი, ღმერთიც გზას აუქცევდა და არაფერს ზარალს დაატეხდა თავზე, როგორც ეგვიპტელებს დაჰმართა“ (ვაჟა-ფშაველა, 1961, 14).

ვაჟას მოსაზრებით სისხლით გაწმედის ჩვეულება შესაძლოა ებრაული რჯულიდან მომდინარეობდეს. ეს მოსაზრება სარწმუნოდ მიგვაჩნია, ვინაიდან სისხლით განათვლის ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით ბიბლიაში

ა) „აიღო მოსემ ნახევარი სისხლი და თასებში ჩაასხა, ხოლო ნახევარი სამსხვერპლოს ასხურა. აიღო მოსემ სისხლი და მიასხურა ხალხს“ (გამოსვლა 24:6,8);

ბ) „...მოიყვანე ერთი ჭედილა და თავზე დაადონ ხელები აარონმა და მისმა შვილებმა, დაკალი ჭედილა, აიღე მისი სისხლი და ირგვლივ მოასხურე... აიღე სისხლი და სცხე მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე... ასხურე სისხლი და გაინათლება იგი და მისი შესამოსელი;“ (გამოსვლა 29: 11,12,15,16, 19, 20, 21)

გ) „რჯულისკაცებმა კი ასე უთხრან ხალხს: ვინც ახალი სახლი ააშენა და არ გაუნათლავს, წავიდეს და შინ დაბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ გააანათლოს იგი;“ (მეორე რჯული 20: 5)

დ) „მრავლად იყვნენ კრებულში გაუნათლავნი, ამიტომ დაკლეს ლევიანებმა პასექები, რათა უფლისათვის გაენთლათ ყოველნი არაწმიდა;“ (2 ნეშტთა 30: 17)

ე) „მოიყვანოს ხბო სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე, დაადოს ხელი თავზე და დაკლას ხბო უფლის წინაშე. აიღოს ცხებულმა მღვდელმა ხბოს სისხლი და შეიტანოს იგი სადღესასწაულო კარავში. ამოაწოს თითი სისხლში და

შვიდგზის მოასხუროს სისხლი საწმიდარის ფარდას უფლის წინაშე.“ (ლევიანნი 4: 4,5,6)

აღსანიშნავია,რომ ფშავ–ხევსურეთში ხევისბერი ხატში საწირავით მისულ მლოცავს ამწყალობებს,კლავს საკლავს და იქიდან წილს იღებს. „მას ეძლევა საკლავის „ნასხეპი“: ნახევარი ცხვარი თავისი თავ-ფეხით, კურატის თავი და ბეჭი. ტყავის სახსრად ხევისბერი ფულს იღებს და, ვინც ამას არ გაიღებს, მას ხევისბერი დაარისხებს ან მოიკვეთს. ნამცხვრიდან ხევისბერს ეკუთვნის ქადის მეოთხედი და ხმიადის კვერები.“ (მაკალათია, 1985, გვ. 195)

მსგავსი წესი შეინიშნება ძველ აღთქმაში:

ა) „ერთი წესი აქვს ცოდვის გამოსასყიდს და დანაშაულის გამოსასყიდს: იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც მისი მეოხებით გამოითხოვს შენდობას. აღსავლენის ტყავი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც სწირავს აღსავლენს. ყოველი საძღვნო შესაწირავი, რომელიც ცხვება თონეში და ყველაფერი, რაც მაყალზე ან ტაფაზე მზადდება, ეკუთვნის მღვდელს, რომელიც სწირავს მას“ (ლევიანნი 7: 7,8,9).

ბ) „ერთი ნაწილი თითოეული შესაწირავიდან უფლისადმი აღსამართავი იყოს. იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც ასხურებს სამადლობელის სისხლს“ (ლევიანნი 7: 14).

ფშავლებსა და ხევსურებს მტკიცეთ სწამთ კვირა–უქმე და შაბათი. უქმე დღის შენახვა მათ ღვთის ვალის გადახდად მიაჩნიათ. კვირა დღეს საქმის გაკეთებას ერიდებიან, რადგან საუფლო დღეა. ასევე წმინდა და საუფლო დღედ მიაჩნიათ შაბათი, თუმცა მათი წარმოდგენით შაბათი „ინათლება“. „შაბათის ნათვლა იმაში მდგომარეობს,რომ ფშაველს შეუძლიან ამ დღეს იმუშაოს,მხოლოდ იმ ღამეს უნდა თხა დაჰკლას და სანთლები მოანთოს“ (ვაჟა–ფშაველა, 1961, 11).

კვირა უქმის, იგივე ებრაული შაბათის უქმის (რადგან შვიდდღიანი ებრაული კვირის უკანასკნელი დღე შაბათია) ტრადიცია დასტურდება ძველ აღთქმაში:

ა) „დაიცავით შაბათი,რადგან წმიდაა იგი თქვენთვის,მისი შემბღალავი უნდა მოკვდეს; შაბათობით მოსაქმე უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. ექვს დღეს აკეთონ საქმე, მეშვიდე დღეს საუქმო შაბათია, უფლისათვის წმიდა. ყველა, ვინც კი შაბათ დღეს საქმეს გააკეთებს, უნდა მოკვდეს“ (გამოსვლა 31: 14,15);

ბ) „დაიცავი შაბათი დღე,რომ წმიდად შეინახო იგი,როგორც უფალს, შენს ღმერთს უბრძანებია.ექვს დღეს იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე.მეშვიდე დღე უფლის,შენი ღმერთის შაბათია: არაფერი საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმაწვილმა, არც შენმა ხარმა,არც შენმა სახედარმა, არცერთმა შენმა პირუტყვმა,და არც შენმა მდგმურმა, რომელიც შენს ქალაქებში ცხოვრობს, რომ დაისვენოს შენმა ყმამ და ყმაქალმა შენთან ერთად“ (მეორე რჯული 5: 12,13,14).

საყურადღებოა ის ფაქტი,რომ ფშავ–ხევსურებს წესად აქვთ ხატის კოშკის შემკობა ირმის რქებით. ამის შესახებ ვაჟა–ფშაველას წერილში „ფშავლები“ ვკითხულობთ: „შენობები ხატისა არის შემდეგი: დარბაზი, სალუდე და სასანთლეები. დარბაზი გარს შემორტყმულია დაბალის გალავნით, რომელზედაც კაცი ადვილად გადააბიჯებს; დარბაზზედ აწყვია ირმის რქები, მონადირეებისგან შეწირული. დარბაზი წარმოადგენს იერუსალიმის წმიდა–წმიდათას, სადაც თავი ხევისბერი წელიწადში მხოლოდ ერთხელ შედის, როგორც მღვდელთმთავარი წმიდა–წმიდათაში. გალავნის გარეთ, კარგა მოშორებით, არის აშენებული „სალუდე“ ანუ „საჯარე“, სადაც ჰკიდია უზარმაზარი ლუდის სადღი ქვაბი; იქვე არის ჩამწკრივებული კოდები ლუდის ჩასაფუებლად“ (ვაჟა–ფშაველა, 1961, 24).

უნდა ვივარაუდოთ,რომ სალოცავის ირმის რქებით შემკობას საფუძველი ბიბლიაში აქვს. როგორც ვიცით,ღმერთმა მოსეს დაავალა სამსხვერპლოს აგება, რომელიც ოთხივე კუთხეში რქებით უნდა დამშვენებულიყო:

ა) „გააკეთა ურთხელისაგან აღსავლენის სამსხვერპლო,სიგრძით ხუთი წყრთა,სიგანითაც ხუთი წყრთა, ოთხკუთხედი, სიმაღლით სამი წყრთა. გაუკეთა ოთხსავე კუთხეში მისგანვე გამოდიოდა რქები“ (გამოსვლა 38: 1,2);

ბ) „სცხოს სისხლი მღვდელმა უფლის წინაშე სურნელებათა საკმევი სამსხვერპლოს რქებს, რომელიც სადღესასწაულო კარავშია; ხბოს დანარჩენი სისხლი კი დაღვაროს აღსავლენი სამსხვერპლოს ძირას,სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან რომ არის“ (ლევიანნი 4: 7).

საინტერესოა ფშავ-ხევსურთა სამართალი რამდენად ეხმიანება ძველ აღთქმისეულ სამართალს. როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს თავის ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“, ყოველგვარი საქმე ადგილობრივ განირჩეოდა. სასჯელს დამნაშავისათვის მთელი თემი ადგენდა. სასჯელი ორნაირი იყო: 1) ზნეობრივი („მოკვეთა“, საზოგადოებიდან გაძევება) და 2) ფიზიკური (ჩაქოლვა). „საზოგადოება „მოიკვეთდა“ თავის წევრს ქურდობისათვის, ხატის წესის დაკლებისათვის, თემის პირის გატეხისათვის, ანუ უპირობისათვის, მაყვედრობისათვის. მოკვეთილს სახლში აღარავინ შეუშვებდა, აღარავინ იმასთან გაივლიდა; მოუკვდებოდა ვინმე, ძველის ჩვეულებისამებრ აღარავინ მიჰხედავდა, თემი არაფრით აღარ შეეწეოდა, წისქვილისა და სამჭედლოს კარებიც დახშული იყო მოკვეთილისათვის; ხატში, ყრილობაში აღარ გაატარებდა ხალხი მოკვეთილს. სოფლისაგან მოკვეთილი ხატისაგან მოკვეთილი იყო: ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვეწარს არ „დაუდიდებდა“, იმისთვის წყალობას აღარ გამოსთხოვდა ხატს“ (ვაჟა-ფშაველა, 1961, 63).

საზოგადოებიდან დამნაშავის მოკვეთის ტრადიცია დაფიქსირებულია ბიბლიაშიც:

ა) „ვინც უფლის გარდა სხვა ღმერთებს სწირავს მსხვერპლს, უნდა მოიკვეთოს“ (გამოსვლა 22: 19);

ბ) „თუ ვინმე უწმიდურობაში შეჭამს უფლის სამადლობელ მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან... რადგან ვინც შეჭამს პირუტყვის ქონს, რომელიც შეწირულია საცეცხლოდ უფლისადმი, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, ყველა ვინც შეჭამს რაიმე სისხლს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან“ (ლევიანნი 7: 20,25,27);

გ) „ყველა ვინც გადავა შენი უფლის ან მეფის კანონს, სამაგალითოდ დაისაჯონ ან სიკვდილით, ან გვემით, ან ვერცხლის გადახდევინებით, ან მოკვეთით“ (2 ეზრა 8: 24);

დ) „მოიკვეთები კაცთაგან, მინდვრის მხეცებთან იცხოვრებ, ხარების მსგავსად ბალახს გაჭმევენ“ (დანიელი 4: 23).

რაც შეეხება მეორე, ფიზიკურ სასჯელს, „ჩაქოლვას გამოიწვევდა ხატისა და თემის მოღალატეობა, ქალისა და კაცის სიყვარული, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფი გამოჩნდებოდა. ამგვარ დამნაშავეთ ჩაჰქოლავდნენ ხიდის ყურზე, ან „გზის შესაყარში“, გზაჯვარედინში რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს ენახა დამნაშავენი“ (ვაჟა-ფშაველა, 1961, 63).

დამნაშავის ჩაქოლვით დასჯის მაგალითებს ვხვდებით ძველ აღთქმაში:

ა) „გაიყვანე ეს კაცი ან ქალი, რომელმაც ჩაიდინა ბოროტი საქმე, შენს კარიბჭესთან, კაცი ან ქალი, და სასიკვდილოთ ჩაქოლე ისინი“ (მეორე რჯული 17: 5);

ბ) „თუ კაცს ეყოლება ჯიუტი და ურჩი, დედ-მამის გაუგონარი შვილი, რომელსაც ჭკუას ასწავლიან მაგრამ, არ ესმის მათი, ხელი მოჰკიდოს დედ-მამამ და გაიყვანონ თავიანთი ადგილის კარიბჭესთან უხუცესების წინაშე, უთხრან თავიანთი ქალაქის უხუცესებს: ჯიუტია და ურჩია ეს ჩვენი შვილი, ჩვენი სიტყვის გაუგონარი, ღორმუცელაა და ლოთი. ჩაქოლოს იგი ამ ქალაქის მთელმა მოსახლეობამ და მოკვდეს. აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან, გაიგებს მთელი ისრაელი და შეეშინდება“ (მეორე რჯული 21: 18, 19, 20, 21);

გ) „გამოიყვანონ ყმაწვილი ქალი მამამისის სახლის კართან და ჩაქოლონ მისი ქალაქის კაცებმა, მოკვდეს რადგან სააუგო საქმე ჩაიდინა ისრაელში: იმრუშა მამისეულ სახლში. აღმოფხვრი ბოროტებას შენი კრებულიდან“ (მეორე რჯული 22: 21).

ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული იყო სისხლის აღების წესი. კაცის კვლა მძიმე დანაშაულად ითვლეობდა, რასაც მოსდევდა შურისძიება. თითოეული თემი იბრძოდა თავისი თემის ღირსებისა და სიმტკიცისთვის. სისხლის აუღებლობა სამარცხვინოდ მიიჩნეოდა. „სისხლის აღებისათვის ბრძოლა ძმათაშვილებში საღმრთო მოვალეობას შეადგენდა და ყველანი თავდადებით იბრძოდნენ“ (ს. მაკალათია, 1984: 76), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი შიგ თემში და ძმათაშვილებში არ მოქმედებდა. ძმის, შვილის

ან მამის მკვლელს სისხლს არ აზღვევინებდნენ, თუმცა მსგავსი ქმედების ჩამდენს ზიზღით უყურებდნენ და „ცოდვიანებს“ ეძახდნენ. სისხლის აღების ადათი დასტურდება ბიბლიაში:

ა) „თუ უბედურება მოხდა, სიცოცხლე სიცოცხლის წილ უნდა ზღან“ (გამოსვლა 21: 23)

ბ) „როცა დაბრუნდა აბნერი ხებრონს, გაიხმო იგი იობმა კარიბჭის შიგნით, თითქოს განმარტოებით საუბარი სურდა მასთან და მუცელში ჩასცა მახვილი. მოკვდა იგი იობის ძმის, ყასაელის სისხლის წილ“ (2 მეფეთა 3: 27);

გ) „რას იმსახურებენ ის ბოროტეული კაცები, რომელთაც უდანაშაულო კაცი თავისსავე სახლში, თავის საწოლში მოკლეს? ახლა განა თქვენ ხელს არ უნდა მოგკითხოთ მისი სისხლი და აღმოგფხვრათ ამ ქვეყნიდან?“. უბრძანა დავითმა მსახურებს და დახოცეს ისინი“ (2 მეფეთა :11,12);

ე) „მესისხლეს თავად შეუძლია მოკლას მკვლელი, შეხვდება და თვითონვე მოკლას. თუ ვინმე ქიშპობით კაცს ხელს ჰკრავს ან განზრახვით რაიმეს ესვრის და მოკვდება კაცი, ან მტრობით ხელს დაარტყამს და მოკვდება, დამრტყმელი უნდა მოკვდეს, რადგან მკვლელია. მესისხლეს შეუძლია მოკლას მკვლელი, როცა შეხვდება“ (რიცხვნი 35:19, 20, 21);

ვ) „ნუ წაბილწავთ მიწას, სადაც იმყოფებით, რადგან სისხლია, რომ ბილწავს მიწას. ვერ განიწმინდება მიწა მასზე დაღვრილი სისხლისაგან,თუ არა თავად მისი დამღვრელის სისხლით“ (რიცხვნი 35: 33).

როგორც ვხედავთ, მთის ხალხის ყოფაში არსებულ მრავალ წესსა თუ ტრადიციას საფუძველი ძველაღთქმისეულ სარწმუნოებაში მოეპოვება. მტკიცეა და ურყევი მთიელთა ერთგულება ამ ტრადიციებისადმი იმდენად, რომ მაცხოვრის განკაცების შემდეგ, მთელი რიგი ძველაღთქმისეული დოგმების შეცვლის მიუხედავად, საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მცხოვრებნი მე–19 საუკუნეშიც აგრძელებენ მათ ურყევად დაცვას.ხშირ შემთხვევაში იგი მორალური განსჯის გარეშე ,წინაპართა ქცევითი მემკვიდრეობის რეალიზებას გულისხმობს,რაც მთიელთა მსოფლმხედველობას ზოგ შემთხვევაში აშორებს ქრისტიანულ აზროვნებასთან, რომელიც თავის მხრივ, მთელი თავისი არსით, ჰუმანურ პრინციპებზეა აგებული. სწორედ აღნიშნულის შედეგია მრავალი ტრადიციის ადგილობრივი, სხვადასხვა რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით მიღებული ინტერპრეტაცია.

ნინო ბოკელავაძე

Nino Bokelavadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Scriptural Bases of Pshav-Khevsurian Customs and Traditions

Summary

It is well known that religion plays an important role in shaping the culture of any nation. In many cases, exactly religious dogmas form the basis for different kinds of habitual customs or traditions. However, the nation's mentality and attitude of the society towards the perceptions of religious dogmas must also be considered. When belief of the society is merged with common sense, then tradition is conceived in its essence and is not solely based on the behavioral heritage of ancestors. But if society is focused only on the precise performance of the cult rituals of its ancestors and does not try to understand its content, then this path, over time, will undoubtedly lead to the distortion of various dogmas, and as a result, tradition will lose its original, true roots. Within the scope of this work, our goal is to provide a comprehensive study of the habitual customs and traditions of Georgian mountaineers, and in particular their religious bases. Old Testament law and parallels with Pshav-Khevsurian traditions such as marriage, host and guest, redemption of sin from ~Khati" (holy religious place), blood feuding (revenge), the Sabbath of Rest, election of Khevisberi ("an elder of the gorge", secular and ecclesiastical ruler of a Khevi in the Eastern Georgian highlands) etc. We also find interesting the similarities between the Pshav-Khevsurian and the old-testament laws, in particular the rules of outcast and corporal punishment (stoning). The study is based on both biblical texts and Pshav-Khevsurian traditions and writings, as well as the works of various scholars.

So we can conclude that, the bases of most rules and traditions existing in mountain people, lays in old-testimonial religion. Highlanders' commitment to these traditions was so strong, that even after the born of Savior, in spite of the changing of a number of ancient dogmas, some people from Eastern mountain regions of Georgia still continued to follow these traditions in the 19th century as well.

In many cases, it was a lack of moral judgment and a blind realization of the behavioral heritage of ancestors, what in some cases estranges mentality of the mountaineers from Christian ideology, what in its very essence is based on humanity principles. Thus, the above is a reason that many traditions have been influenced under various, local religious factors.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი აღთქმა, თბ.: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1995

ბიბლია, თბ. : საქართველოს საპატრიარქო, 1989

გაბური, ლ. – ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს–რწმუნებანი, თბ.; 2008

გაბური, ლ. – ხევსურეთი ახალი აღთქმის შუქზე, თბ.: გამომცემლობა „კალმოსანი“, 2010

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად,ტ.5, საბჭოთა საქართველო,თბ.: 1961

მაკალათია, ს. ფშავი, თბ.: „ნაკადული“, 1985

მაკალათია, ს. ხევსურეთი, თბ.: „ნაკადული“, 1984

ოჩიაური, ალ. სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში,თბ.: მეცნიერება, 1980.

შენგელია, ქ. ვაჟა -ფშაველას ეთნოგრაფიული წერილების მნიშვნელობა და მისი ირადიაციები მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში, ვაჟა-ფშაველა 150-თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2012